პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# წითელი მეომარი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით—90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.

წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.

განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე-4-ზე—40 კ.

148 (1143) | კვირა, 29 აგვისტო 1926 წ. | 149 (1144)

## საერთო ტერიტორიალური შეკრება.

პირველ სექტემბრიდან იწყება საერთო ტერიტორიალური შეკრება. გაგრძელდება ის მხოლოდ ერთ თვეს. ეს გარემოება ავალებს ყოველ ცვალებადელს ტერშეკრების დაწყების პირველ დღიდანვე პირნათლად შეუდგეს ყველა თავისი ვალდებულებების მტკიცედ შესრულებას და ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ტერშეკრების წარმატებით დამთავრებას.

ნუ დაივიწყებს ცვალებადელი იმ საერთაშორისო მდგომარეობას, რომლის პირობებში ტარდება წლევანდელი ტერშეკრება.

ევროპის ჰაერში კვლავ თოფის წამლის სუნი ტრიალებს. კვლავ აჟღარუნებენ იმპერიალისტები იარაღს. ყოველი ბურჟუაზიული სახელმწიფო გამალებით ემზადება ომისთვის და პირველყოვლისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საომრად. ინგლისის რეაქციონერების თავხედობამ ჩვენს მიმართ ამ ბოლო ხანებში იმატა. მისი კარნახის ქვეშ პილსუდსკი მეტის-მეტად გათამამდა. მისი სამხედრო მზადებები ჩვენს საზღვრებზე არაფერს კარგს არ გვეუბნებიან. იმავე ინგლისის რეაქციონური ბურჟუაზიის თაოსნობით ამ ბოლო ხანებში კვლავ ატყდა ცილისწამებისა და საზიზღარი ჭორების კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

საფრანგეთში ისევ პუანკარე მოექცა სახელმწიფოს სათავეში. პუანკარე—ცნობილი მტერია საბჭოთა სახელმწიფოსი. ამიტომ, ჩაუდგა თუ არა სათავეში ხელისუფლებას, მან არ დაიგვიანა ანტისაბჭოთა გამოსვლით. მან დასდო ხელშეკრულება რუმინეთთან და სცნო მისი არსებული საზღვრები და ტერიტორია რუმინეთის სახელმწიფოს კანონიერ საკუთრებად. მაშასადამე საფრანგეთმა ბესარაბიაც (რომელიც ძალით ჩამოგლიჯეს რუმინეთის მემამულეებმა საბჭოთა კავშირს) სცნო რუმინეთის კანონიერ საკუთრებად.

ასეთია დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა. რას გვეუბნება ის? მას რომ ევროპა კვლავ მიექანება ომისაკენ, რომ იმპერიალისტების შეტევის პირველი საგანი საბჭოთა კავშირი იქნება.

ამიტომაც ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყოველგვარ საფრთხისათვის, ე. ი. უნდა ავამაღლოთ წითელი არმიის საბრძოლო უნარი.

ჩვენ ომი არ გვსურს. მაგრამ არც სხვის მონად გვინდა გადავიქცეთ.

გათავხედებულ მტერს ღირსეულ პასუხი უნდა გავსცეთ ყოველთვის.

ეს კარგად უნდა იცოდეს ყოველმა ცვალებადელმა. მან ისიც უნდა იცოდეს, რომ მტერი ძლიერია თავისი სამხედრო მომზადებით. ამიტომაც ჩვენც არ უნდა ჩამოვრჩეთ მას ამ მხრივ.

ჩვენი ძირითადი ამოცანაა ვიზრუნოთ წითელი არმიის საბრძოლო უნარის ამაღლებაზე.

ამჟამად კი—დიდის ნაყოფიერებით ჩავატაროთ ტერშეკრება, —ერთ თვიანი სწავლებით საუკეთესო შედეგებს მივაღწიოთ სამხედრო მომზადების დარგში.

ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ყოველი ცვალებადელი მთელი თავისი შეგნებით მოეპყრობა ტერშეკრებას, თუ ის დაიცავს მტკიცე დისციპლინას.

სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყოველგვარ თვითნებურ წასვლას თვით სამართალში მიცემამდიც. ტერშეკრების პირველ დღიდანვე უნდა დამყარდეს ფოლადისებური რევოლიუციონური დისციპლინა, რაც საუკეთესო გარანტიაა სამხედრო სწავლების დიდი ნაყოფიერებისა.

ტერშეკრების გათავებისას ტერნაწილების სახით ჩვენ უნდა გვყავდეს, მაგარი, კარგი საბრძოლო უნარის მქონე ნაწილები.

მტერს მაშინ გაუმკლავდებით, თუ მშვიდობიან დროს ერთგულად და კეთილსინდისიერათ მოეპყრობით სამხედრო სწავლებას!

გაასკეცებული ენერგიით, მთელი ძალღონის დაჭიმვით და გულმოდგინე მეცადინეობით ბრწყინვალედ ჩავატაროთ საერთო ტერიტორიალური შეკრება.

# ინგლისში გახშირდა შეტაკებები პოლიციასა და გაფიცულებს შორის

## მთავრობისა და გაფიცულთა წარმომადგენლების მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა

## საბერძნეთში შესდგა ახალი მთავრობა

### შეტაკებები პოლიციასა და მუშებს შორის

პოლიციასა და მაღაროს მუშებს შორის მოხდა რამოდენიმე შეტაკება. შედეგად ორივე მხარეზე არიან დაზარალებულები.

მთავრობას განზრახული აქვს სასწრაფოდ გააგზავნოს ჯარები ანახშირის რაიონებში.

### უშედეგოდ

27 აგვისტოს ერთმანეთს შეხვდენ მაღაროს მუშათა და მთავრობის წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანი იყო ეთათბირად გაფიცვის გარშემო და მოევკვ:რებიათ საკითხი. მოლაპარაკება გაგრძელდა საათნახევარი, მაგრამ არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

### მდგომარეობა უარესდება

გაფიცულთა რაიონებში მდგომარეობა უარესდება. პოლიციასთან შეტაკებები ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა.

ზოგიერთ მაღაროდან გაყვანილ იქნა მეთვალყურე ტეხნიკური შემადგენლობა.

### ინგლისი აძლიერებს არმიასა და პოლიციას.

1914 წელთან შედარებით ინგლისმა 5.686.000 გირვანქა სტერლინგით გაადიდა პოლიციის შესანახი ხარჯები. (გირვანქა სტერლინგი უდრის 10 მანეთს).

სამხედრო ხარჯები გადიდდა 26.783.000 გირვანქა სტერლინგით. გარდა ამისა საჰაერო ფლოტისთვის გადადებულია ახალი თვითმფრინავების ასაგებად 15 მილიონი 755 ათასი მანეთი.

### საბერძნეთის ახალი მთავრობა

საბერძნეთში შესდგა ახალი მთავრობის ეგრედ წოდებული „სამოქალაქო“ ე. ი. არა სამხედრო შემადგენლობის კაბინეტი.

#### პანგალოსის ბედი

ყოფილი პრეზიდენტი პანგალოსი წაყვანილ იქნა კუნძულ კრიტზე, ვინაიდან ფლოტის ყოფილი უფროსი კოლიადეკსის განზრახული ჰქონდა მისი გაპარება ჰაეროპლანით. კოლიადეკსი დააპატიმრეს.

გაზეთები კმაყოფილებას გამოსთქვამენ მთავრობის ახალი შემადგენლობით.

### საბჭოთა კავშირისა და ფინეთის საუზრუნველყოფო ხელშეკრულება

26 აგვისტოს დაიწყო მოლაპარაკება საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ. საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებას აწარმოებს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ფინეთში ლორენცი, ფინეთის მხრივ კიენკელი, ტაშნერი და კოსკენი.

## საბჭოთა კავშირში

### პერსელი მოსკოვში.

მოსკოვში ჩამოვიდა ინგლისის მუშათა კლასის ლიდერი და დელეგაციის ყოფილი თავმჯდომარე სსრკ-ში—პერსელი.

მისი ჩამოსვლის მიზანია მოაწყოს თანაგრძნობის მიტინგები და ფულების შეკრება ინგლისის გაფიცულ მუშათა დასახმარებლად.

პერსელმა განაცხადა, რომ გაფიცვის საქმეს ხელს უშლის ევროპის სხვა და სხვა ქვეყნებიდან ქვანახშირის შეგზავნა ინგლისში.

### ინგლისის მაღაროს მუშათა დელეგაცია.

საბჭოთა კავშირში ამ მოკლე ხანში ჩამოვა ინგლისის სამთომადნო მუშების დელეგაცია. დელეგაციაში შედის 10 მაღაროს მუშა და ექვსი მაღაროს მუშის ცოლი.

## საქართველოში.

### საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით საგანგებო კომისიას გადაერქვა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო.

სამმართველოს უფროსად დანიშნულია ამხ. ე. კვანტალიანი, მოადგილედ ამხ. ბერია.

### წყალსადენი ჭიათურაში

დაწყებულ იქნა მუშაობა ქალაქის წყალსადენის გასაფართოებლად.

### წითელ მხედრისათვის არ არსებობს გაუვალი ადგილი

ცხენთა გადარბენის ხელმძღვანელმა ჩაიკოვსკიმ გაუგზავნა ბუდიონის დეპეშა, რომელშიაც სწერს:

„ცხენთა გადარბენის მონაწილეებმა ლენინაკანსა და სუხუმს შორის გადალახეს 14 უღელტეხილი და აასრულეს რა სრულებით დასახული ამოცანა, ესალმებიან წითელ ცხენოსანთა ბელადს და აცხადებენ, რომ წითელ ცხენოსნისთვის არ არსებობს გაუვალი ადგილი“.

## გერმანიის მუშების წარმომადგენლები თბილისში

საბჭოთა საქართველოს დედა ქალაქ თბილისს ესტუმრა გერმანიის მუშების მეორე დელეგაცია.

დელეგაცია შესდგება 28 კაცისაგან. მან უკვე იმოგზაურა საბჭოთა კავშირის სხვა მსხვილ ცენტრებში და დაბოლოს გვესტუმრა ჩვენ.

დელეგაციის მიზანია გაეცნოს საბჭოთა კავშირის სინამდვილეს, გაიგოს სრული სიმართლე პროლეტარულ სახელმწიფოს ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ.

როგორც სხვა მუშათა დელეგაციებს, ისე გერმანიის მეორე მუშათა დელეგაციაც განცვიფრებულია ჩვენი სინამდვილით. სოციალ-გამყიდველების და ბურჟუაზიის გაზეთები მათ მუდამ ჩასჩიჩინებდენ, რომ თითქოს საბჭოთა კავშირში სრული ქაოსი, საშინელი ეკონომიური კრიზისი და არევ-დარევა არსებობდეს. მაგრამ საბჭოთა კავშირში მოსვლისას გერმანიის მუშების წარმომადგენლებმა კი სულ სხვა რამ დაინახეს.

მათ ინახულეს ნამდვილი შრომის სამეფო, მათ დაინახეს აღდგენილი მეურნეობა, მუშების და გლეხების შემოქმედებითი შრომის ნაყოფი; ისინი დარწმუნდენ, რომ მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებებისა და სიძნელეებისა, მუშათა კლასს გლეხობის დახმარებით შეუძლია სოციალიზმის აშენება და მისი განცხოვრციელება. და მიუხედავად იმისა, რომ მუშათა დელეგაციის უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებისაგან შესდგება, მან ხმამაღლა, ყველა ქვეყნის მუშების გასაგონად აღიარა:

რომ რასაც საზღვარ გარეთელი ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული გაზეთები სწერენ საბჭოთა კავშირის შესახებ, ყველაფერი ეს ცილისწამება და ჭორი ყოფილა... საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო დანგრეული მეურნეობის აღდგენა და სხვა.

ამავე დროს გერმანიის დელეგაცია ყველგან აღუთქვამს საბჭოთა კავშირის მშრომელთ, რომ სამშობლოში დაბრუნებისას ისინი სრულ სიმართლეს უამბობენ მუშებს, სასტიკად შეებრძოლებიან მენშევიკების და ბურჟუაზიის ყოველგვარ პროვოკაციას, ყოველმხრივ ხელს შეუწყობენ გერმანიის და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის დაახლოებას.

—„გერმანიაში დაბრუნებისას ჩვენ ვეტყვით მუშებს: საბჭოთა კავშირის დათვალიერების დრო გავიდა. დროა საქმეს შეუდგეთ. დადგა ჟამი ვიბრძოლოთ პროლეტარიაშის ძალა-უფლებისათვის გერმანიაში“. ასე ამბობენ დელეგატები.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ გერმანიის პროლეტარიატის წარმომადგენლები მტკიცედ შეასრულებენ თავის დაპირებას და მით ხელს შეუწყობენ გერმანიის მუშათა კლასის და საბჭოთა პროლეტარიატის დაახლოებას და მათი კავშირის განმტკიცებას.

ქართული წითელი ჯარი მხურვალედ ესალმება გერმანიის მუშათა დელეგაციას და იმედოვნებს, რომ დელეგაცია თავის ძმებს—მუშებს მიუტანს ნამდვილ სწორ ამბავს როგორც საბჭოთა საქართველოს, ისე მთელი საბჭოთა კავშირის შესახებ; აგრეთვე გადასცემს მას იმ სიტყვებს, რომელიც დელეგაციის ერთერთმა წევრმა სთქვა მუშების კრებაზე წითელი ჯარის შესახებ:

„ჩვენ დავრწმუნდით, რომ წითელარმიელები თქვენ მიერ მოპოვებული თავისუფლების ერთ ნაჭერსაც არ დაუთმობენ მტერსო“.

დიახ, წითელი არმია მტკიცედ სდგას ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე და არავის ნებას არ მისცემს შელახოს საბჭოთა კავშირის მშრომელთა თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

# გერმანიის მუშათა დელეგაცია ტფილისში

26 აგვისტოს ტფილისში ჩამოვიდა გერმანიის მუშათა მე-2 დელეგაცია.

დელეგაციას სადგურზე შეხვდენ ადგილობრივი პასუხისმგებელი ამხანაგები, პროფკავშირები და ტფილისის მუშები. შემდეგ გაიმართა მიტინგი.



დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. კერბერი

### ამხ. ჭელიძის სიტყვა

საქართველოს პროლეტარიატის სახელით მისალმების სიტყვა წარმოსთქვა საქ. პროფსაბჭოს პასუხისმგებელ მდივნის მოადგილე ი. ჭელიძემ. მან ხაზი გაუსვა გერმანიის მუშათა მეორე დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლის მნიშვნელობას. დასასრულ მან განაცხადა:—ერთ რამეს ვსთხოვთ ჩვენს დელეგაციას. სისწორით უამბონ თავიანთ მოძმეებს ყველაფერი, რასაც აქ საქართველოში ნახავენ. დელეგაცია ღრმად დარწმუნდება, თუ რა ნაბიჯით მიდის ჩვენში აღმშენებლობის საქმე და რამდენად დიდი პატივის ცემა და დაფასება აქვს მუშათა შრომას.

### ამხ. კერბერის სიტყვა

საპასუხო სიტყვაში დელეგაციის თავმჯდომარე კერბერმა მადლობა გადაუხადა საქართველოს პროლეტარიატს გულითადი შეხვედრისათვის. მან სთქვა: დელეგაცია მოხარულია, რომ მას საშუალებას აძლევენ შეისწავლოს სოციალისტური მშენებლობა.

სსრკ-ს სამრეწველო ცენტრების დათვალიერებით ჩვენ დავრწმუნდით, რომ საზღვარ გარეთელი სოციალ დემოკრატიული გაზეთები განგებ ავრცელებენ თქვენს შესახებ ყალ ცნობებს, რათა თვალები აუხვიონ მუშებს. მაგრამ ჩვენ გავფანტავთ ყოველგვარ ჭორებს, როცა დავბრუნდებით.

ჩვენ დავარწმუნებთ გერმანიის მუშებს, რომ საჭიროა მთლიანი ფრონტის შექმნა საბჭოთა კავშირის მუშებთან, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება გერმანიის მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება.

### ამხ. სუხიშვილის მისალმება

რკინის გზის სახელოსნოს მუშების სახელით დელეგაციას მიესალმა მუშა სუხიშვილი, რომელმაც სხვათა შორის ასე მიმართა დელეგატებს: „ამხანაგებო, გერმანელებო! უამბეთ გერმანიის პროლეტარიატს, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი „ბატონების" ტერორის ქვეშ კი არ არის, იგი თავის თავის პატრონია.

### ამხ. ენგეს სიტყვა

გერმანიის მუშა ახალგაზრდობის სახელით მიტინგს მიესალმა ამხ. ენგე. მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის მუშა ახალგაზრდობა უფრო კარგ პირობებში იმყოფება, ვიდრე გერმანიის. მისასალმებელ სიტყვების შემდეგ მიტინგი დაიშალა და დელეგაცია გააცილეს ბინაზე.

### დელეგაცია კოჯორში

საღამოს 5 საათზე დელეგაცია, რამოდენიმე პასუხისმგებელ ამხანაგის თანხლებით, გაემგზავრა კოჯორში. დელეგაციამ დაათვალიერა ბავშთა ახალშენი, სადაც მისალმების სიტყვით მიმართა მას ერთმა პიონერმა. ბავშთა ახალშენმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დელეგაციაზე.

შემდეგ დელეგაციამ ინახულა საბჭოთა მუშაკებისა და მუშათა ახალი კლუბები

### ამხ. კერბერის სიტყვა

მუშათა ახალ კლუბში, ბანკეტზე ილაპარაკა კერბერმა, რომელმაც აღნიშნა რა საბჭოთა კავშირის მრეწველობის ზრდა, განაცხადა:—საბჭოთა კავშირის მაგალითებით უნდა ისწავლოს გერმანიის მშრომელმა კლასმა—წინააღმდეგ შემთხვევაში გამარჯვებას ვერ მივაღწევთ. შემდეგ მან გამოსთქვა საქართველოში მიღებული პირველი შთაბეჭდილებები და სხვათა შორის აღნიშნა: ის რაც ჩვენ კოჯორში ვნახეთ, უტყუარი საბუთია იმის, თუ რამდენად წინ მიდის საქართველოს კულტურული კეთილდღეობა. ბავშთა ახალშენის საერთო განწყობილებამ განმაცვიფრა. ასეთები მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკაში არსებობს.

ჩვენ ვეცდებით თქვენში არსებულ მსგავს წესების ჩვენში დამყარებას—დაასრულა მან.

ბანკეტის შემდეგ დელეგატები წავიდენ დასასვენებლად.

### დელეგატები ტფილისის წარმოება—დაწესებულებებში

27 აგვისტოს დილით დელეგაცია დაიყო ჯგუფებად და გაემართა ტფილისის სხვა და სხვა ქარხნებისა და წარმოებათა დასათვალიერებლად.

დელეგატებმა დაათვალიერეს რკინის გზის მთავარი სახელოსნო და დეპო, მთავარი სახელოსნოების უზარმაზარი სახარატო ცეხი, ესტუმრეს კომკავშირის ცეკას, სახელმწიფო გამომცემლობას; შემდეგ დაათვალიერეს სტამბა „კომუნისტი", სპილენძის ქარხანა, შემდეგ—სამხატვრო გალერეა, ფოსტა-ტელეგრაფი, გერმანელთა ახალშენი და სხვა. დელეგატებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ დაწესებულებების დათვალიერებამ და მათში არსებულ შრომის პირობებმა.

### პროფსაბჭოს საზეიმო სხდომა

საღამოს ცენტრალურ მუშათა კლუბში შესდგა პროფსაბჭოს საზეიმო სხდომა დელეგაციასთან ერთად.

მისალმების სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ყურულაშვილმა და კუპრაშვილმა.

### დელეგატების საპასუხო სიტყვა

საპასუხო სიტყვით გამოვიდენ დელეგატები კერბერი, ბუხგოლცი და ბომდანი, რომლებმაც აღნიშნეს ჭორების კამპანია, რომელსაც აწარმოებს საზღვარ გარეთის ბურჟუაზიული და მენშევიკური გაზეთები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ; აღნიშნეს ის შთაბეჭდილებები, რომლებიც მათ მიიღეს საბჭოთა კავშირში სხვა და სხვა კუთხეების დათვალიერებით და რომლებიც ამტკიცებენ საზღვარ გარედ გავრცელებული ხმების წინააღმდეგს და აღუთქვეს, რომ ისინი შესძლებენ გაჰფანტონ სრულიად ეს ყალბი ხმები, რომლებითაც ბურუსში ხვევს ბურჟუაზია ევროპის მუშებს.

ყველა დელეგატების სიტყვებს მქუხარე ტაში ჰფარავდა.

სხდომის დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც საქართველოს პროლეტარიატი მხურვალე სალამს უძღვნის გერმანიის მუშათა კლასს და ისურვებს ერთიანი ფრონტის განმტკიცებას ევროპისა და საბჭოთა კავშირის მშრომელთა შორის.

# 1904 წლიანების გაწვევისათვის.

### შესაკრებ წერტიდან არმიის რიგებში.

შესაკრებ წერტზე გამოცხადებისას ახალწვეულს ჩამოერთმევა მიწერია, მოწმობა და ჩაირიცხება იმ გუნდში, რომელშიაც დანიშნული იყო მიღების დროს. ახალწვეულთა თვითეული გუნდის უფროსი ინიშნება წინასწარ. ის ესწრება გუნდის შედგენას: ასე რომ ყველა ახალწვეულებმა, რომლებიც ინიშნებიან ამა თუ იმ გუნდში, წინასწარ იციან, თუ ვინ იქნება მათი უფროსი, რომელიც წაიყვანს მათ დანიშნულ ნაწილში.

ჯარის ნაწილებში გასაგზავნ ახალწვეულებმა უნდა იცოდენ, რომ შესაკრებ წერტზე მათ არავითარი ტანისამოსი არ ეძლევა, არამედ მიდიან დანიშნულ ნაწილში საკუთარი ტანისამოსით.

ამისათვის საჭიროა, რათა წვეული გამოცხადდეს სრულიად სავარგის და წლის დროის შესაფერის ტანსაცმელში. სამხედრო ტანისამოსს თვითეული ახალწვეული ღებულობს უკვე ჯარის ნაწილში. მისი საკუთარი ტანისამოსი შეენახება იქ და მიეცემა გათავისუფლების დროს.

ჯარის ნაწილში გაშვების წინ, გუნდებში ჩარიცხულ ახალწვეულებს სინჯავს ექიმი. თუ ავადმყოფები ან გადამდები სენით შეპყრობილები აღმოჩნდებიან, იმათ ათავსებენ შესაკრებ წერტზე, ავადმყოფთათვის გამოყოფილ ბინაში. ავადმყოფები მორჩენის შემდეგ იგზავნებიან იმ ნაწილში დამატებით, სადაც დანიშნული იყვენ.

ნაწილში მისვლისას, თვითეულ გუნდს კვლავ ამოწმებენ ექიმები, შემდეგ კ..ეჭენ ახალწვეულებს, აბანავებენ და ტანისამოსს დეზინფექციაში ატარებენ.

# საერთო შეკრების წინ სამხკორო, ემზადე შეკრებისთვი[ს]

რამოდენიმე ხანში დაიწყება ცვალებადელთა საერთო შეკრებები. ამ შეკრებისთვის ენერგიულად ემზადებიან ჩვენი კადრის მეთაურები და პოლიტმომუშავეები. შეკრებისთვის მზად უნდა იყვნენ აგრეთვე კადრის სამხკორთა ორგანიზაციები.

სამხკორთა ორგანიზაციებს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ იმ ამოცანებზე, რომლებიც უნდა გადასწყვიტონ მათ მომავალ შეკრებაზე. რამდენადაც სამხკორები მზად იქნებიან ამ ამოცანებისთვის, იმდენად მათი მუშაობა წარმატებით ჩატარდება შეკრებაზე. ამიტომ კადრის სამხკორთა წრემ დარჩენილ დღეებში უნდა დაიმუშაონ მომავალი მუშაობის საკითხები.

ცვალებადელთა მოსვლის პირველ დღეებში შერჩეულ უნდა იქნან კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიები. ცვალებად-სამხკორები ჩაბმულ უნდა იქნან სარედაქციო კოლეგიის მუშაობაში, როგორც კადრის სამხკორები.

წარსული შეკრების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთ აუცილებლობას ვერ გაუწია სათანადო ანგარიში ყველა ნაწილებმა. ზოგიერთ ლეგიონებსა და ასეულებში ცვალებადლები არ ყოფილან ჩაბმული სარედაქციო კოლეგიების მუშაობაში, რის გამოც უკანასკნელი ვერ განვითარდა სათანადოდ.

შემდეგ სამხკორთა ორგანი[ზა]ციების წინაშე სდგას მეორე მნ[ი]შვნელოვანი ამოცანაც: მხედ[რო]ლობაში უნდა იქნას მიღებუ[ლი] ცვალებადელ სამხკორთა მუშა[ო]ბის მდგომარეობა და შედეგ[ები] მუშსოფლკორთა წრეებში.

დღემდის ჩვენს სამხკორთა ორ[გა]ნიზაციებს არ ჰქონიათ ნათე[ლი] წარმოდგენა იმაზე, თუ რამდენ[ად] იყვნენ ჩაბმული ცვალებადლე[ბი] შეკრებათა შორის მუშსოფლკო[რ]თა წრეების მუშაობაში, თუ რო[]გორ მიდიოდა ეს მუშაობა [და] სხვა.

ამ შეკრებაზე ჩვენ უნდა და[ვა]ყენოთ ჩვენს აუცილებელ ამო[ცა]ნად—მოვაგვაროდ ცვალებადლე[ბ] შორის მუშ-სოფლკორთა აღრი[ც]ხვის საქმე. უამისოდ ჩვენ ვე[რ] შევსძლებთ ვაწარმოოთ სისტე[მა]ტიური მუშაობა ცვალებადელ ს[ა]მხკორის აღზრდის საქმეში.

მე-3 ამოცანაა-თავიდანვე შე[ვ]ჩვიოთ სამხკორი საბრძოლო გ[ა]რემოებაში მუშაობას·

ამ მხრივ მანევრები საუკეთე[სო] გამოცდებია სამხკორთა წრეებ[ის]თვის.

გაძლიერებულ უნდა იქნას კე[დ]ლის გაზეთების მუშაობა. კედლ[ის] გაზეთის მთელი შინაარსი შეკრ[ე]ბაზე გაჟღენთილ უნდა იქნას ს[ა]ბანაკო პრაქტიკულ მუშაობით.

აი ის ძირითადი ამოცანებ[ი], რომლებიც სდგას სამხკორთა ორ[]განიზაციების წინაშე შეკრებაზე.

**ვ—კი.**

# შენიღბვა უცხოეთის არმიებში

### საფრანგეთის არმიაში

საფრანგეთის არმიაში იხმარებოდა და დღესაც იხმარება ნიღაბბადე და სხვა ნიღბები სხვა და სხვა სიდიდის ქსოვილებისაგან.

მასალები ასეთი ბადურებისათვის სხვა და სხვა ნაირია. მაგრამ ამ ბადის ჩონჩხი ლითონისაა ანდა ცეცხლის გამძლე თოკის. ამ ჩონჩხზე ანუ საფუძველზე მიემაგრება მაყურჯად კანი ერთი მცენარისაგან (რაფია), რომელიც საკმაოდ გავრცელებულია საფრანგეთის აფრიკის კოლონიებში. რაფია ჩვენში იხმარება დაბალი ვენახების ჭიგოებზე გასაკრავად.

რაფია მეტად გამძლე მცენარეა და შეიძლება მისი მრავალ ფერად შეღებვა. გარდა ამისა ხმარობენ კიდევ სხვა საგნებსაც: ჩვეულებრივ ბალახს, მატერიის ნაჭრებს, წყალის მცენარეებსა და სხვა.

ასეთი შესანიღბი ბადეები იხმარება მხოლოდ მაშინ, როცა ბუნებრივი მასალები არ მოიპოვება. ნიღაბ-ბადეები იხმარება სანგრების, სანგრების შემაერთებელ გზების, სათოფურების, სათვალთვალო ხვრელების, ტყვიამფრქვევების, ბატარეების, ფარდულების, რკინის გზის ხაზებისა და სხვა შესანიღბავად.

გარდა ბადეებისა, არმიას ამარაგებენ აგრეთვე ბრეზენტისა და სხვა მსუბუქი და სქელი ქსოვილებით. ეს ქსოვილები ურიგდება ნაწილებს შეღებილი. შენიღბვის საშუალებას ეკუთვნის აგრეთვე არმიის მომარაგება კვამლის ფარდის ყუმბარებით.

შენიღბვის საშუალებას მიმართავენ მხოლოდ დარიგების შემდეგ,—სად და როდის უნდა იხმარონ ისინი.

ამ დარიგებებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბუნებრივი შენიღბვის საშუალებათა გამოყენებას.

### გერმანული ნიღაბი მიწი[ს] და ჰაერის თვალთვალ[ის] წინააღმდეგ

გერმანიის არმიაში ამ ბოლ[ო] ხანებში წარმოებულ იქნა ახა[ლი] ნიღბების ხმარების ცდები; ეს ნ[ი]ღბები სრულიად შეუმჩნეველ[ია] თვალისთვის. ახალ ნიღაბს ისე[თი] თვისება აქვს, რომ ის უცებ გ[ა]გიქრება თვალთახედვიდან და ძნ[ე]ლი შესამჩნევი და აღმოსაჩენია; იმ დროს, როცა ჩვეულებრივ[ი] ბუნებასა და ადგილმდებარეობა[]თან შეხამებული ნიღბები ადვილ[ად] შესამჩნევია.

ძირითადი თვისება ამ ახა[ლი] ნიღბებისა ისაა, რომ ისინი ა[რ] აჩენენ ჩრდილს. თუ რომ ჩნდე[ს] ჩრდილი, ის ისეთი უსწორ-მასწ[ო]როა, რომ ათასი მეტრის სიმა[ღ]ლიდან გადაღებულ სურათზე შ[ე]უძლებელია მისი შემჩნევა. თვი[თ]მფრინავიდან, შეიარაღებული თ[ვა]ლითაც კი ძნელი შესამჩნევია [ამ] საშუალებით შენიღბული, საგნებ[ი]. ასეთ თვისებას დიდი მნიშვნელ[ო]ბა აქვს საჰაერო თვალთვალისაგ[ან] შესანიღბავად. ასეთ შენიღბვ[ის] დროს ჩრდილი არ ჩნდება იმ[ი]ტომ, რომ შიგნით უკეთდება [მ]სინათლის საწინააღმდეგო ნიღაბ[ი], რომელიც უკუაქცევს მზის შუქს.

ნიღბები მზადდება სხვა და სხ[ვა] სიდიდისა და დანიშნულების: მ[ს]როლელთა, იარაღების, ქარხნებ[ი]სა და სხ. დასაფარავად.

მიწიდან მოთვალთვალისთვ[ის] სრულიად შეუმჩნევი იქნება ამ ს[ა]შუალებით კარგად შენიღბულ[ი] საგანი· მაგალითად მსროლელ[ი] შეიძლება სრულიად შეუმჩნევ[ლად] გახდეს 40 ნაბიჯზე, ტყვიამფ[რ]ქვევი 150—200 ნაბიჯზე.

მცირე ზომის ნიღბები მსრო[]ლელთა და ტყვიამფრქვევთათვ[ის] შეიძლება მოწყობილ და დაკეტ[ილ] იქნას რამოდენიმე წამში. მისი წ[ო]ნა უმნიშვნელოა.

ნიღაბი შესდგება მავთულის ბ[ა]დისაგან, რომელზედაც მიმაგრ[ე]ბულია დამცველ ფერზე შეღებ[ი]ლი მატერია.

**ა. უ.**

# მიღწევები ავიაციაში.

ჩვენი დროის ავიაცია თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდება. აქ ჩვიდმეტიოდე წლის უკან ყველა ერთი ფრანგი ბლერიოს ხსენებაში იყო. ყველა აღტაცებაში მოდიოდა მისი სიმამაცით. მაგრამ რა ჩაიდინა ისეთი ამ ფრანგმა?

მან გაიარა ჰაეროპლანით საფრანგეთიდან ინგლისამდი სულ რაღაც 35 ვერსი.

### თანამედროვე მიღწევები.

დღეს ბლერიოს მაშინდელი მიღწევა საინტერესოა ჩვენთვის, როგორც მაგალითი ავიაციის ისტორიაში. ამ რამოდენიმე ხნის წინად ამერიკელ მფრინავმა მაკ რედიმ შეუჩერებლად გადაფრინდა ნიუ-იორკიდან სანფრანცისკოში, სადაც გაიარა სულ 3.100 ვერსი, ე. ი. ასჯერ მეტი მანძილი, ვინემ ბლერიომ.

ხოლო 1925 წელში მაკ რედის აჯობეს ფრანგ მფინავებმა, რომლებმაც დაჰყვეს ჰაერში, ძირს დაუშვებლად, 45 საათი და 11 წუთი და გაიარეს 4.400 ვერსი.

### არროშარის გაფრენა.

გასულ წელს ფრანგ არროშარმა გადასწყვიტა დაემტკიცებია, რომ თვითმფრინავი შეუდარებელი სიჩქარით მიმოსვლის საშუალებაო. ის გაფრინდა პარიზიდან 10 აგვისტოს 4 საათსა და 15 წუთზე. იმავ დღეს, 18 საათსა და 10 წუთზე ის ჩაფრინდა სტამბოლში, ე. ი. საფრანგეთიდან ოსმალეთის სატახტო ქალაქში, დაისვენა გზაში მხოლოდ ერთხელ. მეორე დღეს 4 საათზე ის აფრინდა სტამბოლიდან და 17 საათსა და 15 წუთში უკვე მოსკოვში იყო, დაისვენა ბუქარესტში. 12 აგვისტოს, სამ საათზე ის აფრინდა და საღამოს ათის ნახევარზე უკვე პარიზში იყო.

ეს შესანიშნავი გაფრენაა არა სისწრაფით, არამედ სიშორითაც. სულ არროშარმა გააკეთა 8 ათასამდე ვერსი გზა. ის დაახლოებით გადიოდა საათში 100 ვერსს.

### უდიდესი სისწრაფე.

უდიდესი სისწრაფე ფრენისა მიღწეულ იქნა 1924 წელში ფრანგი მფრინავის ბონნეს მიერ. ის გადიოდა საათში 448 კილომეტრს.

ჩვეულებრივი სიჩქარე საზღვარგარეთის საჰაერო ხაზზე უდრის 150—200 კილომეტრს საათში.

### მიღწევები სიმაღლეში.

რაც შეეხება სიმაღლეს, თანამედროვე ჰაეროპლანმა აქ მიაღწია უკვე შესაძლებელ საზღვარს. სიმაღლეზე გაფრენა ძნელია არა მარტო ტეხნიკურ დაბრკოლებათა მხრივ, არამედ ერთობ გაიშვიათებული, თხელი ჰაერი და სიცივე,—რაც ახასიათებს სიმაღლეს,—მავნებელია მფრინავის ორგანიზმისთვის. უდიდეს სიმაღლეს გაფრენაში მიაღწია ფრანგმა კ ა ლ ა ც ც ო მ 1924 წელში. ის ავიდა 12.066 მეტრის სიმაღლეზე. მიუხედავად ყოველგვარ სასუნთქი და სათბობი მოწყობილობისა, კალაცცომ მეტად ცუდად იგრძნო თავი ასეთ სიმაღლეზე. ტემპერატურა აქ უდრიდა 55 გრადუსს ნოლს ქვევით.

მაღალი ფრენის მნიშვნელობა იმაშია, რომ გათხელებულ ჰაერში დიდის სისწრაფით შეიძლება ფრენა.

# ხილის კურკების გამოყენება.

ქლიავის, უნაბის, ჰერამის, ატმის, ალუჩისა და სხვ. კურკების ნაჭუჭები (კანი) საუკეთესო ნედლი მასალაა განსაკუთრებული ნახშირის დასამზადებლად, რომელიც იხმარება ანტაირის კოლოფებში.

ავიაქიმის მომარაგება ზაფხულიდან შეისყიდის აღნიშნულ ხეხილების კურკებს, რათა ამ ნედლი მასალით უზრუნველყოფილ იქნას ავიაქიმის მრეწველობა.

# უზარმაზარი ანგარა.

ტემპელგოფში (გერმანიაში) დამთავრებულ იქნება უდიდესი ანგარას აგება, რომელშიაც შეიძლება მოთავსებულ იქნას რამოდენიმე ასეული ჰაეროპლანი. ანგარას სიგრძე უდრის 208 მეტრს, სიგანე—30-ს. დაბრუნებულ თვითმფრინავებზე ნიშნის მისაცემად ანგარაში მოწყობილია 250 მილიონი სანთლიანი პროჟექტორი, რომლის სხივები მოქმედებენ ირგვლივ 75 კილომეტრზე. ღამით, ჰაეროპლანის აფრენის ან დაფრენის დროს, მთელი გაფრენის მოედანი ნათლდება 7 დიდი ელექტრო-სანათურებით — „მზეებით", რომლებიც აშორებენ ჰაეროპლანებს დაბრკოლებებს, ღამით გაფრენასთან დაკავშირებით. გარდა ამისა საფრთხილო ადგილები შეღებილია თეთრ-წითელი ფერებით, რომელთა გარჩევა კარგად შეიძლება დღისით. ღამით ისინი ნათლდებიან წითელი საშთანგო სანათურებით.

ტემპელგოფში ყოველდღიურად მიდის და ბრუნდება 70-მდე თვითმფრინავი.

# როგორ ჩატარდა ტერ-შეკრებისათვის მზადება.

## როგორ ვემზადებოდით შეკრებისათვის.

მე 5 ლეგ. მე 2 ასეული

უკვე იწყება 1900—901—902 წელში დაბადებულ ცვალებად წითელარმიელების ერთ-თვიანი შეკრება. ამ ხნის განმავლობაში მთელი ასეულის შემადგენლობა ენერგიულ მუშაობას აწარმოებდა. მეთაურები დადიოდენ თემებში და შესაკრებ წერტებზე. იწვევდენ კრებებს, ატარებდენ კამპანიებს ცვალებადელთა და გლეხობას შორის. იწვევდნენ ასეულის წერტებზე თემ-რწმუნებულების თათბირებს და აცნობდენ მათ, თუ როგორ უნდა ემუშავათ, რომ წარმატებით შესრულებულიყო შეკრება. თემებში ყოფნის დროს თვითეულ გლეხის გაუგებარ საკითხს ვაძლევდით განმარტებას, რაზედაც ისინი დიდი მოხარული იყვნენ და თვით ახალისებდენ თავიანთ შვილებს, რომ თავის დროზე გამოცხადებულიყვენ დანიშნულ ადგილზე.

გარდა ამისა ასეულის წერტზე ვაწყობდით შეკრების პირველ დღისათვის კინო-სურათებს, სურათების შემდეგ მისასალმებელი სიტყვები ჰქონდათ ყველა ორგანიზაციის წარმომადგენლებს. შემდეგ გათვალისწინებული იყო წარმოდგენა, სასულე ორკესტრით; მეორე დღისათვის კი მთელ ორგანიზაციებს თავის შემადგენლობით უნდა გამოეცილებიათ ცვალებადლები. მაზრების ყველა ორგანიზაციების მხრივ ასეთი დახმარება შეკრების მოსამზადებელ მუშაობაში უსათუოდ სარგებლობას მოიტანს და ცვალებადლები უფრო მეტი ხალისით მიესალმებიან იმ ოჯახს, რომელშიაც მათ მოუხდებათ ყოფნა სექტემბრის თვის განმავლობაში.

შეკრების დროის პერიოდი ძალიან ცოტა არის; ამიტომ ის ითხოვს მეტ ენერგიულად მოქცევას საქმისადმი. ამით ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ჩვენ გვეყოლება სოფლათ გამობრძმედილი მეომარი—მოქალაქე [იმ შემთხვევისათვის, თუ რომ ჩვენი მტრები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ცუდს განიზრახავენ.

გაუმარჯოს 1900—901—902 წ. დაბად. ცვალებადლების ერთ-თვიან საერთო შეკრებას და გაუმარჯოს მათ ენერგიულ მუშაობას ბანაკათ!

ნ. გიორგობიანი.

## ჩვენი ლენკუთხე კარგად მუშაობს

(მე 5 ლეგ. მე-2 ასეული)

მე-2 ასეულის ლენკუთხეში შეუფერხებლად მიმდინარეობს მეცადინეობა.

სწარმოებს გაზეთებისა და წიგნების ხმამაღალი კითხვა და საუბრები სხვა და სხვა თემაზე. აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ კადრის წითელ არმიელები, რომლებიც დაინტერესებული არიან გაიღრმაონ და განამტკიცონ ყაზარმაში მიღებული ცოდნა, რათა სოფლად დაბრუნებისას ენერგიულად ჩაებან მუშაობის ფერხულში გლეხთა შორის.

ვ. ახალქაცი.

## წრეების მეცადინეობა შეუფერხებლად ტარდება

(ცხენლეგიონი)

ლეგიონში, მუდმივ ბინაზე მყოფ წითელ არმიელთა შორის ჩამოყალიბებულია სამი სხვა და სხვა წრე: სამხედროთა, კოოპერაციის და ავია ქიმის. წრეების მეცადინეობა ტარდება ესკადრონებში, ლეგსკოლაში და სამნეო ნაწილში. აღსანიშნავია, როგორ დაინტერესებული არიან წითელ არმიელები წრეებში მეცადინეობით. მეცადინეობის დროს სწარმოებს აზრთა გაცვლა-გამოცვლა, თუ როგორ უნდა მოეწყოს სოფლად ასეთი წრეები, რომ უფრო ხელსაყრელი შედეგები მოჰყვეს მუშაობას და სხვა. მეცადინეობა შეუფერხებლად ტარდება დანიშნულ საათებში, რაც, ცხადია, ხელს შეუწყობს ნაყოფიერი შედეგების მიღებას.

პ. კახიძე.

## ტერ-შეკრებას სიხარულით მოველით.

მე-6 ლეგიონი

ჩვენი ლეგიონი უკვე შეუდგა ბანაკად გასვლისათვის მომზადებას. სამნეო ნაწილმა ყველა საჭირო დგამები და ნივთები გაგზავნა ქ. გორში. ცვალებად უფ-პოლიტ-შემადგენლობა უკვე გამოცხადდა ვადაზე, რომელიც აყვანილ იქნა აღრიცხვაზედ. შემოდგომაზედ უვადო შვებულებაში მიმავალ წ. არმიელების სიხარულს საზღვარი არ აქვს, ვინაიდან იმათვის პირველია ბანაკად გასვლა. ასეულის ბიბლიოთეკის გამგეები ლეგიონის ბიბ-გამგესაგან ღებულობენ ახალ წიგნებს და ალაგებენ სატარებელ ყუთებში. კლუბის უფროსი კი ღებულობს ზომებს, რომ დამზადებულ იქნეს შესაფერი პლაკატები და ლოზუნგები. ამ მცირე ხნის განმავლობაში გაცხოველებულ იქნა საკლუბო მუშაობა.

ვალერი.

# როგორ ჩატარდა საზაფხულო შეკრება ჩვენთან.

მე-5 ლეგიონი.

1903 წლიანთა ორ თვენახევრიანი შეკრების ჩატარება ჩვენს ლეგიონს მოუხდა მეტად რთულ პირობებში. მიუხედავათ ამისა მან მაინც შესძლო იმ ამოცანების შესრულება, რომელიც მოცემული ჰქონდა მოკლე დროის მონაკვეთში.

ახალი მოსული ამხანაგები საჩქაროდ გაეცვნენ წითელი ყაზარმის მნიშვნელობას და შეითვისეს დაწყებითი ცოდნა როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო დარგში, რაც უნდა მიეწეროს უფპოლიტ-შემადგენლობის გეგმიანათ მიდგომას ახალ წვეულებისადმი. ეს დაამტკიცა შეკრების დამთავრების წინ ჩატარებულმა მე-7 წითელარმიელთა უპარტიო საგარნიზონო კონფერენციამ, სადაც თვით მომხსენებელი ცვალებადლები და კამათში მონაწილე ამხანაგები ერთსულოვნად დადებითად ახასიათებდენ განვლილ პერიოდის მუშაობას წითელ ყაზარმაში და კმაყოფილებას გამოსთქვამდენ ყოველ მხრივ. ერთმა ცვალებადელმა თავის სიტყვაში სთქვა: „მე ამხანაგებო, დღემდე არ ვიცოდი არც წითელი ჯარი, არც წითელი ყაზარმა და არც მქონია მაზედ წარმოდგენა. ეხლა კი სულ სხვა გვარად ვგრძნობ თავს. წითელმა ყაზარმამ მომცა საშვალება, უფპოლიტშემადგენლობის ენერგიული მუშაობით, გავცნობოდი წითელი ჯარის სარგებლიანობას და მის აუცილებლობას მშრომელთა დაცვის საქმეში. ნათლად დავრწმუნდი, რომ წითელი ყაზარმა მართლაც საუკეთესო სკოლა ყოფილა, რომელშიც იზრდება წითელი მებრძოლი და მასში აღზრდილი წითელი ჯარი საუკეთესო დამცველია მშრომელთა ინტერესების. ჩვენ მთელს ჩვენს ენერგიას სოფლად დაბრუნებისას მივმართავთ იქეთ, რათა გავზარდოთ მისი ავტორიტეტი მოსახლეობაში, ხელი შეუწყოთ გასამხედროვებას და ყოველ დაძახილზე ხალისიანად მოვაშუროთ ჩვენს სკოლას“.

ეს სიტყვები მართლაც მოწმობს იმას, რომ მოკლე ვადიან შეკრებაზე მოსული ამხანაგები ნათლად გაერკვენ წითელი ჯარის მნიშვნელობაში. გვაქვს უფლება ვსთქვათ, რომ ჩვენმა ლეგიონმა ბევრი ახალგაზრდა გაუშვა სოფლად, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი ტერსისტემის განმტკიცებას. ეხლა ჩვენს ლეგიონს უდგას მეორე ურთულესი ამოცანა—საერთო შეკრება, რომელიც [აუცილებლად დადებითი შედეგს მოგვცემს. საერთო შეკრებაზე მოსულ სოფლის მშრომელ გლეხობას გაურკვევს და შეათვისებიებს წითელი ხიშტის და თოფის ხმარებას მშრომელთა მტრების საწინააღმდეგოდ.

ამ მხრივ მუშაობა და მზადება ჩვენმა ლეგიონმა დიდი ხანია დაიწყო. შესაკრებ რაიონებში დაგზავნილი იყო უფპოლიტშემადგენლობა, რომელთაც დავალებული ჰქონდათ შესაკრებ კამპანიების ჩატარება. წინასწარ უკვე ლეგიონში მოვიდა „ცვალებადელი მეთაურები, რომლებიც აწარმოებენ მოსამზადებელ მუშაობას. ლეგიონის სკოლა უკვე დიდი ხანია ემზადება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დაწყებული მუშაობა დაგვირგვინდება სასურველი მიღწევებით და ჩვენი საერთო შეკრება მოგვცემს უფრო მეტ ნაყოფს, ვინემ წარსული.

მ. ჰქონია.

# წითელი მებრძოლნი მანევრებზე.

## ჩვენი ნაწილები სტუმრად ოსეთის მშრომელებთან.

ჯერ კიდევ არ გათავებულიყო მანევრები, როცა გამოგვიცხადეს—ოსეთში [უნდა წავიდეთო. მანევრებიც დასრულდა. დაირაზმა წითელი რიგები. მივდივართ სამხრეთ-ოსეთში. შორიდან მოსჩანს ყინულიანი მთაგრეხილები. გავიარეთ ხეობები. გადავადექით მაღლობს. გამოჩნდა ბაღებში გაშენებული ქალაქი. შუაზე გიჟივით მიბორგავს მდინარე ლიახვი. შევდივართ [ქუჩებში. აუარება ხალხი გვხვდება წინ. მათ სახეზე სადღესასწაულო იერი გადაჰკრავს. ყველა მხიარულად გამოიყურება.

ოსეთს კიდევ ატყვია მენშევიკური მთავრობის ვერაგული ხელი, რომელმაც გადასწვა და გაანადგურა მრავალი მოსახლეს კარმიდამო. მაგრამ მათ ადგილზე უკვე შენდება ახალი, ლამაზი სახლები. მხედრული სიმღერა ამხიარულებს ქალაქს. ეს არის წითელი ჯარი, რომელსაც თან მიაქვს არა ცეცხლი და მახვილი მშრომელთა აკლება-დიდების გასანადგურებლად, არამედ ის მიდის ყველგან მის დასაცავად და მშვიდობიანობის დასამყარებლად.

დავბინავდით. გამოვაფინეთ პლაკატები, ლოზუნგები, სქემები, კედლის გაზეთები, სადაც იყო წერილები ოსეთის მშრომელ მასებზე. იკრიბება ადგილობრივი ახალგაზრდობა, პიონერები, კომკავშირელები, მუშები და გლეხები. იმართება ბაასი.

საღამოზე, 1-ლ დივიზიის სამხედრო კომისარი [ამხ. კვირიკაძე აკეთებს მოხსენებას „წითელი არმიის აღმშენებლობაზე“. შემდეგ იმართება წითელარმიელთა შემოქმედება—საღამო, მე-2 საკავშირო ნაწილისა და 1-ლ არტლეგიონის მიერ. წაკითხულ იქნა ლექსები, სახუმარო ნაწყვეტები. გაიმართა სიმღერა და ცეკვა. საღამომ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

გათენდა დილა. გაისმა მუსიკის გრიალი. დაიძრა ფეხოსანი ჯარები, აგერ ცხენოსანი ლეგიონიც; მას მიჰყვება არტლეგიონი.

ისმის საყვირისა და დოლის ხმა. მოდიან პიონერები, მოჰყვება კომკავშირელები, პარტორგანიზაციები, პროფკავშირის ორგანიზაცია და გლეხობა.

ისმის ჰაეროპლანის გრიალი. მოცვივა დაბლა ფურცლები. ჰკრეფენ ფურცლებს. იმართება ლაპარაკი სხვა და სხვა ენაზე.

შემდეგ იმართება შეჯიბრება ცხენოსან და არტლეგიონს შორის...

საღამოს თეატრში იმართება წარმოდგენა, რომელსაც დიდძალი ხალხი ესწრება. წავიდა „პირველი“ ზარი“ რევოლიუციონური პიესა და „ჩანჩურა“. შემდეგ ამას მოჰყვა ლექსები, ნაწყვეტები, სიმღერები და დასასრულ ცეკვა რსურად.

სამხედრო ნაწილების მიერ დაწერილ [იქნა ლოზუნგი: „მხურვალე სალამი ოსეთის მშრომელებს“.

იმ ღამეს ჩვენი ნაწილები გამოვიდა ოსეთიდან.

ა. არველაძე.

## უმცროს მეთაურთა საკავშირო სკოლის გამოშვება

მე-2 საკავშირო ასეული.

საკავშირო საქმის მცოდნე ათეულის [მეთაურების სიმცირე საერთო მოვლენა არის ჯარში, მაგრამ ეს საჭიროება მე 2 დივიზიების ნაწილებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერსისტემის თავისებურების გამო. ცალკე საკავშირო ასეულთან 15 იანვრიდან არსდება უმცროს მეთაურთა სკოლა, დივიზიის ნაწილების ამ სკოლის შევსების ანგარიშით და იქ საშუალო მეთაურების მოვლენით ნაწილებიდანვე.

უმცროს მეთაურთა სკოლა საკავშირო ასეულთან პირველი ნაბიჯი არის დივიზიისა. სკოლაში მეცადინეობა წარმატებით მიმდინარეობდა და კურსანტებიც დიდ ენერგიას იჩენდენ ამ მხრივ. სკოლის შემადგენლობის 38 კაციდან გა-



საკავშირო სკოლიდან გამოშვებული უმცროს მეთაურთა ჯგუფი.

მოშვებული იქნენ ათეულის მეთაურებათ 17 კაცი, მათ შორის ორი ბეხაზია, რომელთა მეჯითობა განსაკუთრებით არის აღნიშნული სკოლის ხელმძღვანელთა მიერ. დანარჩენნი გამოშვებულია ტელეფონისტებათ, ხაზის ზედამხედველებათ და სხვა.

ათეულის მეთაურებათ სკოლიდან გამოშვებული იქნებოდა უფრო მეტი, რომ ნაწილებს სკოლაში გადმოეგზავნა სკოლისთვის შესაფერისი წითელარმიელები ცოდნის მხრივ. ეს ნაკლი გათვალისწინებულ უნდა იქნას მომავალში.

სკოლის გამოშვება მოხდა 10 აგვისტოს. ათი დღის პრაქტიკის შემდეგ ისინი დაგზავნილი იქნენ ნაწილებში. მათ მიეცა დირექტივა საერთო შეკრებასთან დაკავშირებით. ამხანაგები გრძნობდენ რა პასუხისმგებლობის სიმძიმეს, დიდის ხალისით და აღტაცებით მიეჩქარებოდენ თავიანთ ნაწილებისკენ იმ იმედით, რომ მათზე დაკისრებულ ამოცანებს პირნათლათ შეასრულებდენ.

ცალკე საკავშირო ასეულთან არსებულ უმცროს მეთაურთა სკოლის პირველ გამოშვებამ უნდა გამართლოს სკოლის მომავალი გამოშვება ასი პროცენტით. ეს მოხდება მაშინ, თუ გამოვიყენებთ გამოცდილებას, რომელიც გვქონდა პირველი გამოშვების დროს.

ჩ—ლი.

## სკოლის გარეშე მუშაობა ჩვენთან

(1-ლი არტლეგიონი)

სკოლის გარეშე მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჩვენს ლეგიონში, როგორც ზამთრის, ისე საბანაკო პერიოდში. ლენკარვები ისე იქნა მოწყობილი, რომ ისინი მთელი ამ დროის განმავლობაში დიდძალ წითელ არმიელებს იზიდავდენ. ყოველ საღამოობით ტარდებოდა საუბრები, ხმამაღალი კითხვა, სიმღერები, ცეკვა-თამაში და კომბინიური საღამოები. ეს უკანასკნელი ხელს უწყობდა ბირთვების მუშაობის გამოტანას მასაში.

სკოლის გარეშე დარგში, გეგმიური მუშაობის განხორციელების მხრივ, დიდი გამოცდილება შევიძინეთ ხუმერულ ნაწილების დაახლოებით. გამოცდილების გაზიარება დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს მუშაობას ზამთრის პერიოდშიც და ამიტომ ყველა ნაწილების სკოლის გარეშე მუშაკები უნდა უკვიოდებოდენ ამ მხარეს, რაც გააადვილებს მუშაობას შემდეგში.

მანევრები კიდევ მეტ ყურადღებას მოითხოვს სკოლის გარეშე მუშაკებისაგან, რათა მეისწავლონ თუ საომარ მდგომარეობის დროს როგორი ფორმებით უნდა სწარმოებდეს სკოლის გარეშე მუშაობა და რის შესრულება იქნება შესაძლებელი. ამიტომ მანევრებზე უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს მუშაობის აღრიცხვის საქმეს.

ტ. მამალაძე.

## ლენკუთხე კარგად მოვაწყეთ

(3-ე ლეგ. 1-ლი ასეული)

უკანასკნელ დრომდი ჩვენი ასეულის ლენკუთხე მოუწყობელი იყო ტეხნიკურად. არ ჰქონდა ზღუდემესერი, პლაკატები და სხვა მოთულობა. ამ რამოდენიმე დღის წინად დატრიალდა მუშაობა კუთხის მოსაწყობად. მეთაურები და წითელ არმიელები გულმოდგინეთ ჩაებენ კუთხის მოწყობის საქმეში. ასეულის მეთაურებმა გაიღეს ფული საკუთარი ჯიბიდან. მოვიყვანეთ ხელოსანი, გავაკეთებიეთ მესერი და მოვრთეთ კუთხე ყოველმხრივ. ლენკუთხეში არის სხვა და განყოფილება: რემედასის, ავიაქიმის, წერკუმსის, სამხედრო, პარტგანყოფილება და სხვა. კუთხის წრეების ხელმძღვანელებად პარტუჯრედის მიერ გამოყოფილი არიან ამხანაგები, რომლებსაც ხელმძღვანელობას უწევს თვით უჯრედი.

წრეებში მეცადინეობა კარგად მიმდინარეობს.

ს. ბიკაშვილი.

# პოლიტგანათლების მუშაკთა კურსი

სახალხო განათლების განყოფილება ხსნის ტფილისში 20 სექტემბერს მაზრის პოლიტსაგანმანათლებლო მუშაკთა გადასამზადებელ კურსებს.

მეცადინეობა გრძელდება ერთი თვე.

# ხუთი სკოლა 8 დღიან მანევრებზე

(მეთაურთა სკოლა)

საბანაკო პერიოდი გათავდა და ჩვენი სკოლა დიდ მანევრებზე გავიდა. ჩვენი კურსანტების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მათ შეუერთდა სომხეთის, რუსული და აზერბაიჯანის სკოლების კურსანტები. ჩვენ შემოგვიერთდა აგრეთვე სამხედრო პარტსკოლაც.

სალაშქრო წესით დარაზმული ეს 5 შეერთებული სკოლა დაიძრა კოჯრის მიმართულებით.

მთელი შემადგენლობა გაიყო ორად. მოწინააღმდეგე ნაწილები გზა და გზა ტაქტიკურად იყენებდენ ადგილმდებარეობის ყოველგვარ თვისებებს. დასვენებისას ვეწვეოდით მახლობელ სოფლებს, ვატარებდით საუბრებს მცხოვრებლებთან, ვმართავდით საღამოებს, ვუშვებდით კინო-სურათებს. ხშირად ერთი-ორი დღე ვჩხდებოდა სოფლად ღამის თევა. დღისით ვეხმარებოდით გლეხებს მუშაობაში. კურსანტები მეტად დაინტერესებული იყვნენ გლეხების ყოფა-ცხოვრებით, რაც გზადაგზა, კოჯორში მისვლამდი საკმაოდ გაიცვნეს.

ვიყავით სოფ. პრიუტშიც, სადაც გაუშვით შუქის გაზეთი მანევრების ცხოვრებიდან და სხვა. გავუშვით აგრეთვე კინო-სურათიც, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

გლეხები ყველგან მხიარული სტუმართ-მოყვარეობით გვხვდებოდენ. მანევრები გაგრძელდა 8 დღე, რის შემდეგ დავბრუნდით საზამთრო ბინისაკენ.

სამხკორი **ლლონტი.**

# მოსპეთ ნაკლულევანება

## მიაქციეთ ყურადღება ამ გარემოებას

მე-5 ლეგიონის ფურნე

მე-5 ლეგიონის ფურნე თავისი სისუფთავით უფრო ჩიხს მოგაგონებს, ვინემ ფურნეს. მიუხედავათ იმისა, რომ ფურნეში ზედმიწევნით დაცული უნდა იყოს სისუფთავე, აქ კი ისეთ სიბინძურეს და უსუფთაობას შეხედავთ, რომ გული აგერევათ. ხშირია შემთხვევა, რომ პურში იპოვით სხვადასხვა უსუფთაობას და აგრეთვე ჭიებსაც.

საჭიროა ყურადღება, სანამ ნაწილში რაიმე ავადმყოფობას არ გამოიწვევდეს უსუფთაობა. დროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

ვ. გურული.

# ნარევი

**სახელმწიფო, რომელსაც გაზეთი არ აქვს.**

საფრანგეთსა და ესპანეთს შორის იმყოფება პატარა სახელმწიფო ანდორრა. შესანიშნავია ეს სახელმწიფო იმით, რომ მასში ერთი გაზეთიც კი არ მოიპოვება.

ერთი ფრანგი მოგზაური, რომელმაც ინახულა ეს სახელმწიფო, მოგვითხრობს, რომ მას საზღვარზე ჩამოართვეს ყველა გაზეთები.

„ჩვენი სახელმწიფო ათასი წელიწადი არსებობდა ისე, რომ მას არ ჰქონია არც გაზეთი და არც რადიო-მიმღები, ასე იარსებებს ის მომავალშიც"—უთხრეს მას საზღვარზე.

ამ სახელმწიფოს მოსახლეობის რიცხვი 6 ათას კაცს უდრის.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**როგორ შეიძლება ამუშაო მზე.**

ყველამ იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო მეურნეობისთვის ქვანახშირს, რომელიც მიწის წიაღიდან ამოაქვთ. მრეწველობისა და ტეხნიკის გაძლიერების გამო, ქვანახშირის ხმარება ყოველწლიურად იზრდება, ხოლო მისი მარაგი კი ყოველწლიურად მცირდება.

მცირდება აგრეთვე ნავთის მარაგიც.

ამან აიძულა მეცნიერები ჩაფიქრებოდენ იმ გარემოებას, თუ საიდან შეიძლება ახალი ძალების ძიება, რომლებიც ისე საჭიროა ადამიანისათვის.

ცდილობენ ყოველმხრივ გამოიყენონ ქარისა და წყლის ძალა.

სხვათა შორის იმასაც ფიქრობენ, რომ როგორმე მზეც გააბან უღელში და ამუშაონ.

ასეთი მაგალითები უკვე კარგა ხანია, რაც არსებობს.

ამერიკაში ოცი წლის უკან გამოგონებულ იქნა მანქანა და დადგმულ იქნა მამოძრავებელი, რომელიც მზის სითბოს იჭერს შეზნექილი სარკით და მიმართავს ამ სითბოს წყლიან ქვაბზე. ასეთი მზის მოწყობილობა ამერიკასა და სხვა ქვეყნებშიაც კი, საკმაოდ ბევრია.

ეხლახან ლენინგრადის პროფესორი კალიტინი გაემგზავრა თურქესტანში თავისი აპარატით, რომელსაც მან უწოდა „მზის სითბოს მყლაპავი". ეს აპარატი შესდგება შუშებისა და სარკეების სისტემისაგან. აპარატი მოწყობილია ისე, რომ ის ადუღებს ორთქლის მანქანის ქვაბში მყოფ წყალს.

თურქესტანში პროფესორი კალიტინი აწარმოებს თავისი აპარატის ცდებს. პირველ ცდებმა უკვე დაამტკიცეს, რომ მზის ძალისაგან წყლის გაცხელება იმდენად დიდია, რომ საქაჩავს, რომელსაც ამოძრავებს აპარატი, ამოაქვს წყალი ჭიდან.

პროფესორ კალიტინის აპარატი დიდ როლს ითამაშებს არა მარტო შავი ქვის მოსალოდნელ შიმშილობის დროს, მას დიდი მნიშვნელობა ექნება აგრეთვე ჩვენი კავშირის გვალვიან რაიონებისთვის. აპარატის შემწეობით შეიძლება ბრძოლა გვალვის წინააღმდეგ და მინდვრების მორწყვა.

**ტრაქტორების ახალი სახეები.**

ტეხნიკის მიღწევებს შორის აღსანიშნავია ტრაქტორების ახალი სახეები.

1-ლი სახის ტრაქტორი აცლის მხოლოდ მარცვალს და სტოვებს ბზეს—ჩალას წინანდელ მდგომარეობაში. პურის ასე შენახვით ნაკლები მარცვალი იკარგება და ამას გარდა მარცვლის მოშორების შემდეგ, გაცილებით ადვილია ცელვა და ბზის შენახვა.

მე-2 სახის ტრაქტორი თვითონ სთხრის ჭარხალს, სჭრის ფოთლებს და აწყობს ბოლქვებს გროვად.

მესამე სახის ტრაქტორი—პატარა, მოწყობილია მინდვრისა და ბოსტნებისთვის მცირე უბნების კარგად დასამუშავებლად. ეს ტრაქტორი დიდძალ სამუშაოს ასრულებს. ის ხუთჯერ ადიდებს შრომის ნაყოფიერებას (ხელით შრომასთან შედარებით) და ამას გარდა აძლიერებს აგრეთვე თვით ნიადაგის ნაყოფიერებას.

# პასუხი შეკითხვებზე

— კაზაევს და გასევს. გრძელ ვადიან შვებულებაში თუ როდის წახვალთ, დაწვრილებითი ცნობებს ნახავთ ჩვენი გაზეთის № 147-ში.

— პერტიას. ვინაიდან თქვენს მწყობრისთვის უვარგისი გამოცხადებული ხართ და გადარიცხული ხართ უმწყობროში, ამიტომ თქვენ გამოცდები უნდა ჩააბაროთ უფადშემადგენლოაზე, როგორც საშუალო სასწავლებელ გათავებულმა.

— მოსაიძეს. თუ 1902 წ. დაბადებული ხართ, განთავისუფლებული იქნებით ამა წლის შემოდგომაზე.

— გოგაურს. მუშფაკში თუ სხვა სასწავლებელში სიარული შეგიძლიათ მხოლოდ და მხოლოდ უფროსის ნებართვით, თუ ეს საქმეს არ ავნებს.

— ჭითავას. თუ თქვენ ავადმყოფობის გამო შვებულებაში იყავით, შვებულებაში გატარებულ დროს კუთვნილი ულუფის მაგივრად გეკუთვნით ფული, არა უმეტეს ექვსი თვისა (ბრძანება № 1012) და ამასთან, თანახმად ბრძანებისა № 289—26 წ., ეს უნდა განაცხადოთ თქვენ ნაწილში დაბრუნების ორი თვის განმავლობაში საბუთების წარდგენით, რომ თქვენ ეს ფული არ აგიღიათ.

— შუბლაძეს. სატრაქტორო კურსებზე ლეგიონს არ შეუძლია მიგავლინოთ. ეს შეუძლია მხოლოდ იმ ორგანიზაციას, რომელიც იწერს ტრაქტორს.

— კოველაშვილს. მოკლე ვადიანი საკოოპერაციო კურსები ამჟამად არ არის. შვებულებაში წასვლის შემდეგ ასეთ კურსებზე შეუძლია მიგავლინოს თქვენი თემის კოოპერაციამ.

— ქათამაძეს. (ტყიბული) ქართ. მეთაურთა სამხ. სკოლაში შესასვლელად საჭიროა ვლინება ადგილობრივ კომკავშირის ორგანიზაციისა. ვლინება და სხვა საბუთები გადაუგზავნეთ სკოლის უფროსს: ტფილისი, ქართულ სამხ. მეთაურთა სკოლა.

— სიმონიას. წაიკითხეთ ჭითავას პასუხი.

— ხაჩიძეს. თქვენ ძმას უფლება აქვს მიღებულ იქნას ცვალებად შემადგენლობაში, ამიტომ მან ყოველივე საჭირო საბუთები უნდა წარადგინოს თავის დროზე მიმღებ კომისიაში.

— ზაუტაშვილს. თუ თქვენ ირიცხებით 26 სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტათ, უნივერსიტეტის დამთავრებამდი კადრ შემადგენლობაში გაწვეული არ იქნებით.

— სართანიას. მაზარა მოგეცემათ.

— სარქისოვს. არც განთავისუფლებული და არც ტერნაწილში გადარიცხული არ იქნებით, ვინაიდან თქვენს ოჯახში არის შრომის უნარიანი—თქვენი ძმა. ეს უკანასკნელი კი ვალდებულია ოჯახს მოუაროს.

ძუცოვს. დარჩენილ ორი თვის ჯამაგირის მოცემაზე უარს თუ გეუბნებათ დაწესებულება, მაშინ უნდა მიმართოთ შრომის სასამართლოს· როგორც სოფლის მასწავლებელი თქვენ არ უნდა ყოფილიყავით გაწვეული.

— ანიაშვილს. თქვენი ძმა მოხდება ცვალებად შემადგენლობაში. მხოლოდ მან საბუთები თავის დროზე უნდა წარუდგინოს მიმღებ კომისიას.

# ჩვენი ფოსტა

შ. რევიშვილს. მე-2 ლეგიონი მანევრებზე—არ წავა. ამის შესახებ უფრო ვრცელი წერილები იყო.

ნ. გუგბერიძეს.—ასეთ ნაკლს ყურადღება უნდა მიექცეს—არ დაიბეჭდება. მოათავსეთ კედლის გაზეთში.

მუხრანის ქოხ-სამკითხვ. გამგეს. ფული მიღებულია 4 აგვისტოს. გაზეთი გეგზავნებათ 12 აგვისტოდან.

ვ. თომეიშვილს. ხშირად გამოგზავნეთ ცნობები ნაწილის ცხოვრებიდან.

პ. გომახურელს.—ლექსი მზადება ბანაკში—არ წავა, სუსტია. სწერეთ კორესპონდენციები.

ბიკაშვილს.—საჭიროა მეტი ყურადღება—არ წავა. ამ თემაზე ხშირად იწერება. მოიწერეთ სხვაზე.

რეგლეტს.—კანონიერი არის თუ არა—გადაეგზავნა 1-ლ არტლეგიონის სამხკომს.

გულ—ნის.—როდის ვიხსნით თავს ასეთებისაგან—გადაეგზავნა თქვენი ნაწილის სამხედრო კომისარს.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლი ქართ. მსრ. ლეგიონის მე-4 უჯრედში შემოტანილი აქ განცხადება კომკავშირის წევრებს პარტიის კანდიდატად მიღე შესახებ: მაჭარაძე დავითი პორფირეს-ძეს (ოცეულის მეთაური თაისის მაზრა, ხონი); 2. მაქოშვილი გიგო კონსტანტინეს-ძეს (ლავის მაზრა, სოფელი ნიკალევკა, გლეხი); პარტიის კანდიდატ ქ. პ. წევრად გადარიცხვის შესახებ: 1. თურქაძე ვალერიან ამი ნის-ძეს (შორაპნის მაზრა, სოფელი ალისუბანი); 2· ორაგველიძე ნტელიმონი ელიზბარის-ძეს (ოზურგეთის მაზრა, სოფელი შუხუთ თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს ამ ამხანაგების შესახებ, ხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

უჯრედის მდივანი ვაშაკიძე.

მე-4 ქ. მსრ. ლეგიონის 1-ლი ასეულის 1-ლ კომუჯრედში მოტანილი აქვთ განცხადება პარტიის წევრად მიღების შესახებ კ პარტიის კანდიდატებს: 1. ტუღუში პავლეს (ამავე ლეგიონის კ ბის უფროსი); 2. სულაძე არჩილს (ამავე ლეგიონის 1-ლი ასეუ წ. არმიელი).

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ აღნიშნული პირებ ქ. პ. წევრად მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ორი კვირ განმავლობაში ზემო აღნიშნულ უჯრედში.

კომუჯრედის პასუხისმგებელი მდივანი ს. ივარდავა.

მე-6 ქართულ მსროლელ ლეგიონის მე-3 ათასეულის კომუ რედში შემოტანილი აქვს განცხადება ოცეულის მეთაურს—გველ სიანი გიორგი ილიას-ძეს, რომელიც თხოულობს კომკავშირის წ რობიდან პარტიის კანდიდატად გადარიცხვას; (კომკავშირის წევრ 1924 წლიდან, მცხოვრები ქ. თბილისში).

თუ ვინმეს ზემოაღნიშნულ ამხ. შესახებ საწინააღმდეგო აქ ვთხოვთ გვაცნობონ 10 დღის განმავლობაში.

უჯრედის მდივანი დ. ჭანკვეტაძე.

მე-2 ქ. მს. ლეგიონის მე-6 კომუჯრედში შემოტანილი აქ განცხადება ა. ლ. კ. კ. წევრობიდან კ. პ. კანდიდატათ გადარი ხვის შესახებ: საბანაძე სოსიკოს (გორის მაზ. მცხ. სოფ. შინდის წ. არმ.); 2. კ. პ. კანდიდატობაზე—კონსტანტინე იაგოის-ძე რუ ძეს, (თფილისის მაზრის მე-7 რაიონის მცხ. უმც. მეთაური, მუშ

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს აღნიშნულ ამხანაგებ გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები ხსენებულ უჯრედში, ათი დღის გ ნმავლობაში.

უჯრედის პას. მგ. მდივანი ბეკოევი.

1-ლ არტ-ლეგიონის სკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქ განცხადებები: 1. ნიკოლოზიოსების-ძე მაღალაშვილს (პარტიის დიდატი, მცხ. ქალაქ თბილისის), 2. დიომიდე აბესალომის-ძე ნ გაძეს (კ. კ. წევრი, მცხ. ქუთაისის მაზრის, სოფ. ზემობაღდადი პირველს პარტიის წევრად და მეორეს პარტ-კანდიდატდ მიღებ შესახებ. თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს ზემოაღნიშნულ ხანაგების შესახებ, ვთხოვთ გვაცნობონ არტ-სკოლის კომ-უჯრედ ერთი კვირის განმავლობაში.

კომ-უჯრედის პ. მ. მდივანი ნოზაძე.

ქართ. სამხ. პოლიტ. სკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქ განცხადება ამხ. ვლადიმერ მურძაყანის-ძე გვარამაძეს (ახ. ლ. კ. წევრი), რომელიც თხოულობს პარტიის კანდიდატად გადარიცხვა თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო ცნობები მოგეპოებათ ზემოაღნი ნულ ამხანაგის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმა ვლობაში.

კომუჯრედის პ. მ. მდივანი ა. ცხადაძე.

მე-6 ლეგიონის მე-6 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განც დება პარტ-კანდიდატათ მიღების შესახებ ამხ. ამხ. ბარნაბა მე რიშვილსა და ვლადიმერ გავაშელიშვილს; წევრათ: სოლომონ ჯ ყარაშვილსა და ენუქი ქანთარიას.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს ზემოაღნიშნულ ამხა გების შესახებ, ვთხოვთ გვაცნობონ ქალ. თბილისში მე-6 ლეგიონ მე-6 კომუჯრედში.

უჯრედი პ. მ. მდივანი ყურაშვილი.

**დაჰკარგე** მოწმობა მე-3 საც. საჩ. მთლ. შრომ. ს ლის № 795—დ. სამადბეგიშვილის სახელ გაცემული და მასთან ერთად საზაფხულო დავალების ნამუშევ რვეულები. ჩაით. გაუქმებულად.

## თბილისის გარნიზონში მყოფ ნაწილების საყურადღებოთ!!

გაზ. „წითელ არმიელი"-ს რედაქცია ამი აცხადებს, რომ ექსპედიციაში გაზეთების გაცემა თბილისის ნაწილებისათვის სწარმოებს კვირაობი დილის 8 საათიდან 10 საათამდე, დანარჩენ დღეებ კი დილის 8 საათიდან შუადღის 2 საათამდე, რი შემდეგ გაზეთების გაცემა წყდება.

ამიტომ რედაქცია სთხოვს ნაწილებს თავის დრო ზე წაიღონ კუთვნილი რაოდენობა გაზეთებისა.

გაზ. „წითელ არმიელი"-ს რედაქცია.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კოცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.